განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საქართველოს სიტორია

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205233022 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საქართველოს ისტორია |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ისტორიის დოქტორი 1004 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ოლივერ რაისნერი<br><br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეიმურაზ პაპასკირი<br><br>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნანა ფირცხელანი<br><br>კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აღნიშნული უსდ-ს სადოქტორო პროგრამა "საქართველოს ისტორია" თავდაპირველად აკრედიტებულ იყო 2018 წლის 26 ნოემბერს, რაც საჭიროებდა გადაფასებას 5 წლის შემდეგ. პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 45 ECTS (25%) და კვლევით კომპონენტს 135 ECTS (75%) მოცულობით. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს ისტორიის სფეროში მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი მკვლევარ-ისტორიკოსების მომზადებაზე, რომლებიც მისი დამთავრების შემდეგ შეძლებენ წარმატებით განახორციელონ ინდივიდუალური კვლევა და სხვა საქმიანობა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ეთიკური პრინციპებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ მიზნებით უნდა ხელმძღვანელობდნენ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ჩვენ განვახორციელეთ საკრედიტაციო ვიზიტი ადგილზე ხუთშაბათს, 2018 წლის 1 ნოემბერს 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. ჩვენ ვესაუბრეთ ყველა შესაბამის ჯგუფს, დაწყებულს რექტორიდან - სერგო ვარდოსანიძიდან, მონაწილე დოქტორანტებს და კურსდამთავრებულებს, კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალს და პროგრამის ლექტორებს. ჩვენ, ასევე, ვეწვიეთ ბიბლიოთეკას, კვების ობიექტს და ზოგიერთ საკლასო ოთახს (იხილეთ ჩვენი ადგილზე ვიზიტის გრაფიკი). ყველა დაინტერესებულ მხარესთან დისკუსიებმა გამოავლინა მაღალი ვალდებულება პროგრამის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაც ნაწილობრივ გამოხატულია თვითშეფასების ანგარიშში. შეფასების გუნდს დარჩა შთაბეჭდილება, რომ საქმე ეხება სადოქტორო პროგრამის გაუმჯობესებას და ამ მიზნით გადასადგმელ შემდეგ ნაბიჯებს. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის მენეჯმენტს შეუძლია დაეყრდნოს მეტად გამოცდილ, ძველი თაობის აკადემიურ პერსონალს. თუმცა, ეს მეცნიერები ბერდებიან და საკითხი დგება თუ როგორ ასწავლონ პროგრამაზე სამომავლოდ, თაობების ცვლის გათვალისწინებით. გარდა საბიბლიოთეკო ფონდისა ისტორიის სფეროში, რომელიც აღმოჩნდა საკმაოდ მწირი, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა გამოიყურება საკმაოდ განვითარებულად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საერთო ჯამში, პროგრამა შესაბამისობაშია სადოქტორო დონის სტანდარტებთან, მაგრამ საჭიროებს სერიოზულ ძალისხმევას მომავალი ინტერნაციონალიზაციისათვის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში. არც ხელმძღვანელებსა და არც დოქტორანტებს არა აქვს პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალებში, რაც, ასევე, წარმოადგენს აკადემიური ხარისხის კონტროლის გარე სისტემას. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი აგრძელებს საქართველოს ისტორიის კარგად შემუშავებულ, თუმცა იზოლირებულ და თვითდაჯერებულ კვლევას, რაც აღარაა ადეკვატური 21-ე საუკუნეში. მაშინ, როდესაც სადოქტორო ნაშრომები ზოგად წყაროზეა დაფუძნებული, საერთაშორისო კვლევისა და ისტორიოგრაფიული კონცეფციების და მიდგომების გამოყენება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ, სადოქტორო კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია არსებული ან ახალდაწერილი წყაროების ანალიზზე. ახალი წყაროების გამოყენებისა და გამოკვლევის თაობაზე კითხვები

არ წამოიჭრება (მაგ. ზეპირი ისტორია, ვიზუალური ისტორია, სერიული წყაროების გაციფრულება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზისათვის).

- რეკომენდაციები

1. სადოქტორო პროგრამა უნდა იქნეს ინტერნაციონალიზებული სწავლებისა და ასევე, ხელმძღვანელობის საკითხებში. იდეალური იქნება, თუ უსდ შეიმუშავებს მოცემული სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას ან სამოქმედო გეგმას.
   ა. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ცდილობდეს სადოქტორო პროგრამაში საერთაშორისო პარტნიორების ჩართვის გზების ძიებას, შესაძლოა ერთობლივი შედარებითი კვლევის მეშვეობით ეკლესიის ისტორიაში ან რელიგიების ისტორიაში, როგორც მათი სპეციალიზაციის სფერო.
   ბ. პროგრამის სასწავლო კომპონენტი საჭიროებს უახლესი საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურის და აკადემიური კონცეფციების შეტანას და მათ გამოყენებას საქართველოს კონტექსტში.
   გ. სხვა ინოვაციური ნაბიჯი - საქართველოს ისტორიის ინეგრირება საერთაშორისო კვლევასა და აკადემიურ საზოგადოებაში მოცემული სადოქტორო პროგრამის მეშვეობით - იქნება მისასალმებელი.
2. სადოქტორო პროგრამის განსაკუთრებული როლი და ფუნქცია წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაში უნდა იქნეს განმარტებული. პროგრამა მაქსიმალურად უნდა იყოს ფოკუსირებული ისტორიოგრაფიაზე (მიღების მოთხოვნები, სასწავლო კომპონენტი ფოკუსირებული ეროვნულ და საერთაშორისო ისტორიოგრაფიაზე). ეს შესაძლოა, ასევე, დაეხმაროს უნივერსიტეტის მენეჯმენტს პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრაში საბიუჯეტო დაგეგმვისათვის და მნიშვნელოვანი რესურსების გამოსაყოფად. შეფასების კრიტერიუმები უნდა იქნეს დივერსიფიცირებული და ფოკუსირებული პრეზენტაციების მიღმა განსაკუთრებული უნარების შედეგებზე. თუ ეს ჯერ არაა გაკეთებული, მაშინ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს დოქტორანტთა აქტიური ჩართულობა უნივერსიტეტში, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობაში და მისცეს დოქტორანტებს საპასუხისმგებლო როლი ასეთ თანამშრომლობაში.
3. კურსების ლექტორები, ასევე, საჭიროებენ მუდმივად ინტერნაციონალიზებას. წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი აქტიურად უნდა ცდილობდეს, საერთაშორისო სწავლებასა და დოქტორანტთა გაცვლაში მონაწილეობის მეშვეობით, საზღვარგარეთიდან გარე ლექტორების მოწვევას. უნდა არსებობდეს მხარდამჭერის მექანიზმი, რომელიც დაეხმარებოდა პედაგოგებს საკუთარი სწავლების შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, ისევე, როგორც დოქტორანტების ბიბლიოთეკაში საერთაშორისო კვლევების შესახებ ლიტერატურის ხელმისაწვდომობაში. საველე პრაქტიკის შესაძლებლობა წვლილს შეტანდა კურსდამთავრებულთა უკეთეს დასაქმებაში.
4. უნივერსიტეტის მენეჯმენტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს გარე შეფასების უფრო რეგულარული ფორმების იდენტიფიცირება არა მხოლოდ ყოველ 5 წელიწადში აკრედიტაციის მიზნებისათვის, არამედ ყოველწლიურად.
5. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურებმა პროგრამის კვლევითი შედეგების ობიექტურად გასაზომად უნდა შემოიღონ შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორები, როგორიცაა საერთაშორისო რეფერირებად

ჟურნალებში პუბლიკაციები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, კვლევითი გრანტები.

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სადოქტორო პროგრამის "საქართველოს ისტორია" მდგრადი და წარმატებული განხორციელებისათის სასურველია უნივერსიტეტმა - შესაძლოა მრჩეველთა საბჭოსთან ერთად - შეიმუშაოს სტრატეგიული დოკუმენტი პროგრამის როლზე (სხვებთან ერთად) უნივერსიტეტისათვის და მისი კვლევითი დღის წესრიგი. ასეთ სტრატეგიულ დოკუმენტს შეუძლია მისი რესურსების (ფინანსური, ადამიანური რესურსების) საჭირო განაწილების იდენტიფიცირება, რათა განამტკიცოს მისი პოზიცია როგორც კერძო უნივერსიტეტმა, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებაში აკადემიური წარმატების გაუმჯობესების ერთგულია, აქცენტით ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
2. სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ფორმულირდეს იმგვარად, რომ მათი მიღწევა გახდეს გაზომვადი რამდენადაც შესაძლებელია ობიექტურად (მაგ. სტატიების პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, წიგნის მიმოხილვაზე პუბლიკაციები აკადემიურ ჟურნალებში, საერთაშორისო კვლევით კლასტერებში ან ასოციაციებში ჩართულობა და სხვ.).
3. სადოქტორო პროგრამას შეუძლია წავლებისა და კვლევის მეტი თანამშრომლობითი ფორმების შემოღება. ერთი შესაძლებლობა იქნებოდა სადოქტორო სკოლის დაარსება, სადაც დოქტორანტები არ მუშაობენ მხოლოდ თავიანთ ხელმძღვანელებთან, არამედ ახალგაზრდა მკვლევართა საექსპერტო ჯგუფებში, რომლებშიც ეხმარებიან ერთმანეთს და ამგვარად, სწავლობენ თანამედროვე აკადემიურ თანამშრომლობას.
4. უნივერსიტეტს მიეცა რჩევა, რომ დაფიქრდეს თუ როგორ შეუძლია შექმნას გარემო ორმაგი ტვირთის - მუშაობის აუცილებლობისა და კვლევისათვის დროის - დასაძლევად. დროის მართვა აქ სერიოზული საკითხია კვლევის მაქსიმალური ხარისხის უზრუნველოფაში.
5. უნივერსიტეტის მენეჯმენტმა უნდა განიხილოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (ERASMUS+, DAAD, რუსთაველის ფონდი) მეტად გამოყენების საკითხი პროგრამაში უცხოელ ლექტორთა ან უცხოურ სასწავლო კურსებიდან ქართველ კურსდამთავრებულთა მოსაწვევად.
6. წმ. ანდრიას ქართულმა უნივერსიტეტმა უნდა განიხილოს თანამშრომლობის საკითხი მის საგანმანათლებლო სპეციალისტებთან, რათა მოახდინონ ლექტორებისა და დოქტორანტების სილაბუსებისა და სწავლების პრაქტიკის სკრინინგი მათ გასაუმჯობესებლად, რასაც არა აქვს ხანგრძლივი ტრადიცია ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში.
7. დოქტორანტები შესაძლოა იქნენ წახალისებულნი საკუთარი სწავლების ღონისძიებების დიზაინში, მომზადებასა და განხორციელებაში (მაგ. სეზონური სკოლების, სტუდენტური კონფერენციების, წყარო ლაბორატორიების და სხვ.), რათა იქონიონ საგანმანათლებლო უნარების პრაქტიკა ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის დონეზე არსებული კურსების სწავლებაში პროფესორების დახმარების ფარგლებს მიღმა.

8. უნივერსიტეტისა და პროგრამის მენეჯმენტი უნდა დაემაროს ლექტორებს და ხელმძღვანელებს დოქტორანტების პროფილის შესაბამისად სწავლებისა და სწავლის უფრო მრავალფეროვანი მეთოდების შემოღებაში.
9. ვინაიდან ზოგიერთი გამოცდილი ხელმძღვანელი ხანდაზმულია, პროგრამის ლიდერებს მიეცათ სტრატეგიის შემუშავების რჩევა იმის თაობაზე, თუ როგორ უზრუნველყონ მომავალი თაობები ისეთივე კვალიფიციური ხელმძღვანელებით საქართველოდან და საზღვარგარეთიდან. ეს გულისხმობს დოქტორანტურის იმედისმომცემ კურსდამთავრებულთათვის ვალდებულებების დელეგირებას. მათ, ასევე, უნდა უზრუნველყონ რომ ძირითად პედაგოგირ პერსონალს გააჩნდეს საკმაო რესურსები საკუთარი კვლევების ჩასატარებლად, რაც დაეხმარება სასწავლო კურსების განახლებას უახლესი კვლევების მონაცემებით.
10. იმის გამო, რომ დოქტორანტთა უმეტესობა დასაქმებულია, შეიძლება შემუშავდეს დოქტორანტების სწავლის საფასურის შემცირების შეღავათიანი მოდელი, რომელიც ნაწილობრივ ან სრულად დააფინანსებს სწავლის გადასახადს. ეს ხელს შეუწყობს წარმატებულ და ნიჭიერ დოქტორანტებს კონცენტრირება მოახდინონ კვლევის პროცესზე და მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს.
11. უნივერსიტეტის მენეჯმენტს შეუძლიადააწესოს შიდა ბიუჯეტი სადოქტორო პროგრამისათვის, რათა უკეთ განიხილოს ხარჯები და მიეცეს პროგრამის გეგმიურად განვითარების საშუალება (სასწავლო ლიტერატურის შეძენა, მისიების დაფინანსება და სხვ.).
12. უნივერსიტეტისა და პროგრამის მენეჯმენტს შეუძლია დააწესოს საუკეთესო გამოცდილების შეგროვების ინტერაქტიული სქემა, ამისათვის ბონუსების გამოცხადებით და სტუდენტთა ჩართვით შეფასებაში.

**ს აუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმებისათვის შეზღუდულ დასაქმების ბაზარზე უაღრესად მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო და საჯარო ფინანსირების კვლევით დაწესებულებებთან, როგორებიცაა ხელნაწერთა ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, აკადემიური ბიბლიოთეკა და სხვ. საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელთა სფერო აქ როგორღაც გამოტოვებულია, თუმცა განათლების სამინისტროს შესაძლო წახალისებით ისტორიის მასწავლებლების პროფესია უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი.

**განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მ იმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სადოქტორო პროგრამა "საქართველოს ისტორია" დაიწყო ნოლიდან აკადემიური ავტორიტეტის მქონე გამოცდილი ქართველი მეცნიერების დახმარებით. პირველ პერიოდში გატარებულმა კორექტირებებმა, კერძო უნივერსიტეტის შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, აჩვენა პროგრამის გაუმჯობებსებისადმი მისი უწყვეტი ვალდებულება. ეროვნულ აკადემიურ დაწესებულებებთან და არქივებთან თანამშრომლობის კარგად ორგანიზებული ქსელის გამო ამ სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტი ძალიან მაღალია.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია, მაგრამ ეფუძნება ისტორიოგრაფიისადმი ტრადიციულ მიდგომებს საქართველოს ისტორიის შეფასებისას ძირითადად ეროვნულ ანალიტიკურ ჩარჩოებში და არ უკავშირებს მას საერთაშორისო ისტორიოგრაფიის მეცნიერების უახლეს მოვლენებს. იგი იძლევა საჯარო კვლევით დაწესებულებებში, მუზეუმებსა და უსდ-ებში დასასაქმებლად საჭირო უნარებსა და ცოდნას. ტურისტული და მედიას სექტორები არაა მოცული. წყაროების შესწავლის სექცია არ მოიცავს წყაროების თანამედროვე ფორმებს, როგორებიცაა ვიზუალური (მედია, ხელოვნება) ან ზეპირი ისტორია. იგი, ასევე, არ უსვამს ხაზს "ცოდნის პატარა ინსტრუმენტებს", როგორებიცაა საექსპერტო მიმოხილვა, წიგნის მიმოხილვა, კვლევითი პროექტის დიზაინი, რაც წარმოადგენს დისციპლინის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ აკადემიურ პრაქტიკას.<br><br>მეორეს მხრივ, პროგრამას გააჩნია უნიკალური სპეციალიზაცია ეკლესიის ისტორიასა და რელიგიაში. თვითშეფასებაში პროგრამის ხელმძღვანელები თავად აღნიშნავენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სერიოზული გაუმჯობესების საჭიროებას . მიუხედავად ამისა, უსდ არ ახდენს საქართველოს ისტორიისადმი მისი სპეციფიკური მიდგომის კაპიტალიზაციას. უნივერსიტეტში, როგორც ჩანს, არ შემუშავებულა კონკრეტული კვლევის დღის წესრიგი, რომელშიც მენეჯმენტი განსაზღვრავდა სადოქტორო პროგრამის როლს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაში.<br><br>პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტებისათვის შემდეგი უნარებისა და ცოდნის მიცემას:<br>- სამეცნიერო კვლევის თანამედროვე და "სწორი"(?) მეთოდოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება,<br>- კვლევითი მოდელებისა და მიდგომების შემუშავება,<br>- ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების ცოდნა და უნარები,<br>- ისტორიული წყაროების ინტერპრეტირება გარეგანი და შინაგანი კრიტიკის გამოყენებით,<br>- წყაროებში სუბიექტივიზმისა და ობიექტივიზმის პრობლემის განსაზღვრა,<br>- ისტორიოგრაფიის, კვლევის გზების უკვე არსებული შეხედულებების კრიტიკული ანალიზი და შეფასება,<br>- დაკავშირებული ინფორმაციის ტრანსფორმირებასა და გავრცელებაზე პასუხისმგებლობა.<br><br>ვინაიდან წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტი ხედავს მის როლს საქართველოსთან დაკავშირებული კვლევების განმტკიცებაში (მაგ. რექტორმა აღნიშნა სამომავლო მოთხოვნა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტებზე), საკითხი თუ როგორ უნდა შეივსოს ეს რეალური თუ აღქმული ხარვეზი არაა შესწავლილი, ხოლო უნივერსიტეტის მისიის მნიშვნელობა |

არაა დაკავშირებული სადოქტორო პროგრამასთან "საქართველოს ისტორია". უნივერსიტეტს არ გააჩნია "საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, სადოქტორო პროგრამა "საქართველოს ისტორია", ინტერვიუ რექტორთან, მენეჯმენტთან, პედაგოგებთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სადოქტორო პროგრამის "საქართველოს ისტორია" მდგრადი და წარმატებული განხორციელებისათის სასურველია უნივერსიტეტმა - შესაძლოა მრჩეველთა საბჭოსთან ერთად - შეიმუშაოს სტრატეგიული დოკუმენტი პროგრამის როლზე (სხვებთან ერთად) უნივერსიტეტისათვის და მისი კვლევითი დღის წესრიგი. ასეთ სტრატეგიულ დოკუმენტს შეუძლია მისი რესურსების (ფინანსური, ადამიანური რესურსების) საჭირო განაწილების იდენტიფიცირება, რათა განამტკიცოს მისი პოზიცია როგორც კერძო უნივერსიტეტმა, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებაში აკადემიური წარმატების გაუმჯობესების ერთგულია, აქცენტით ეკლესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

1.1.2 უნივერსიტეტის მენეჯმენტმა და პროგრამის ორმა ლიდერმა შეიძლება **განიხილოს მრჩეველთა საბჭოს შექმნა** მინიმუმ ორი უცხოელი მეცნიერის და ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლის მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ინტერნაციონალიზაცია და მაღალი ხარისხის სტანდარტი სადოქტორო პროგრამისათვის. მრჩეველთა საბჭო შეიძლება შეიკრიბოს ყოველწლიურად საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც დოქტორანტებს შეეძლებათ თავიანთი კვლევების წარმოდგენა. ამგვარი ინსტიტუციონალიზაცია დაეხმარება სადოქტორო პროგრამის სემდგომ განვითარებას და მენეჯმენტს სტრატეგიულ დონეზე. საბჭომ, ასევე, შეიძლება რჩევა მისცეს პროგრამის მდგრადობისათვის საჭირო რესურსების თაობაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

უნივერსიტეტის დაარსებიდან და მისი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სემოღებიდან პირველი წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე სადოქტორო პროგრამა მუდმივად უმჯობესდებოდა. თუმცა, ამ ცვლილებებს აკლია სტრუქტურირება, იმგვარად, რომ პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო არ იყოს მხოლოდ გარე ავტორიზაცია.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა სწორად მიუთითებს, რომ პროგრამის დამთავრების შემდეგ დოქტორანტს შეძენილი ექნება "კვლევის საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელებუს უნარი". ჯერჯერობით, ეს მიზანი არაა სათანადოდ გათვალისწინებული განხორციელებული სწავლებისა და კვლევის კომპონენტებში. პროგრამის ინდივიდუალური კომპონენტის ფარგლებში გამოცხადებულია "საქართველოს მართმადიდებელი აპოსტოლური ეკლესიის ისტორიის აქტუალურ პრობლემები", "საქართველოს ისტორიისა და ისტორიოგრაფიის აქტუალურ პრობლემები" და "განათლების კვლევის მეთოდები". აქ ჩვენ საერთოდ გამორჩენილი გვაქვს რელიგიების ისტორიის მოხსენიება, ისევე, როგორც იმის მითითება თუ ვინ და როგორ განსაზღვრავს "აქტუალურ პრობლემებს" ამ კურსებში.

ასევე, გასაკვირია თუ როგორ შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი მაღალი ხარისხის სტანდარტები მაშინ, როდესაც პროგრამაში შემოთავაზებული კურსებისათვის არც საგნობრივი და არც სხვა წინაპირობები არაა განსაზღვრული. ამიტომ, შემოთავაზებული კურსი "კვლევის მეთოდები განათლებაში" არაადეკვატურია საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი სადოქტორო პროგრამის საჭიროებებისათვის. მეორეს მხრივ, გამოტოვებულია არჩევითი კურსები საზღვარგარეთ ისტორიული კვლევების განვითარებაზე, ისევე, როგორც უახლესი საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის მითითება.

ჩვენ გვესმის, რომ შეუძლებელია ისტორიოგრაფიის მთელი გლობალური მასშტაბის მოცვა, მაგრამ აშკარად არსებობს უახლესი საერთაშორისო კვლევებზე ფოკუსირების საჭიროება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სადოქტორო პროგრამა "საქართველოს ისტორია", გვ. 2, 4, 7; ინტერვიუ ფინანსურ მენეჯერთან ადგილზე ვიზიტისას.

**რეკომენდაციები:**

1.2.1 საწავლო კომპონენტის შემცირების შედეგად, ამჟამად 45 ECTS ანუ პროგრამის 25%, დარჩენილი კურსები უნდა იქნენ ფოკუსირებულნი მაქსიმუმ ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიაზე, თანამედროვე საერთაშორისო ისტორიოგრაფიაზე და განსაკუთრებით ეკლესიისა და რელიგიის ისტორიაზე.

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სადოქტორო პროგრამის შედეგები შესაძლოა ფორმულირდეს იმგვარად, რომ მათი მიღწევა გახდეს გაზომვადი რამდენადაც შესიძლება ობიექტურად (მაგ. სტატიების პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, წიგნის მიმოხილვაზე პუბლიკაციები აკადემიურ ჟურნალებში, საერთაშორისო კვლევით კლასტერებში ან ასოციაციებში ჩართულობა და სხვ.).<br><br>1.2.3 სადოქტორო პროგრამის შედეგები, ასევე, შეიძლება გაიზომოს უფრო თანამშრომლობითი აქტივობების შედეგებით, როგორებიცაა საექსპერტო მიმოხილვა, ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით კლასტერებში მონაწილეობა, საჯარო დისკუსიები, სტრუქტურული თანამშრომლობა ისეთ ინსტიტუციურ პარტნიორებთან, როგორებიცაა ხელნაწერების ცენტრი და/ან საქართველოს ეროვნული არქივი და სხვ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე მიღების მოთხოვნები ძალიან ფართოა და მოიცავს დიპლომის ქონას ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, სამართლის და თეოლოგიის სფეროებში. არ არსებობს განსაკუთრებული მითითება საბაკალავრო, სამაგისტრო დონეებზე და არაფორმალური აქტივობების მეშვეობით მიღებულ ისტორიის ცოდნასა და კომპეტენციებზე. უცხო ენებთან დაკავშირებით პროგრამა მიუთითებს ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, თუმცა არა რუსულს, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოს თანამედროვე ისტორიისათვის, რათა წაკითხულ იქნეს ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის წყაროების უმეტესობა. ადგილზე ვიზიტისას რექტორმა და პროგრამაზე პასუხისმგებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ დოქტორანტთა უმეტესობა მოდის იგივე უნივერსიტეტიდან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>სადოქტორო პროგრამა "საქართველოს ისტორია" გვ. 2; რექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელის სერგო ვარდოსანიძის განაცხადი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>2.1.1 დაზუსტდეს პროგრამაზე მიღებისათვის საჭირო ისტორიის ფორმალური თუ არაფორმალური ცოდნა და კომპეტენციები. ეს დაეხმარება აპლიკაციების უზრუნველყოფას წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის გარედან, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ასეთი ძალიან ცოტა ან საერთოდ არც ერთი არაა. კარგი წინასწარი შერჩევა იძლევა წარმატების მაღალ გარანტიას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>2.1.2 პროგრამაზე პასუხისმგებლებმა შესაძლოა დაამატონ საჭირო უცხო ენების ჩამონათვალს რუსული ენა. საქართველოს ისტორიისათვის ზოგადად და მე-19 და მე-20 საუკუნეების პერიოდში რუსული წყაროები დომინირებს, რის გამოც რუსულ ენაზე კვლევა უნდა იქნეს ანგარიშგაწეული.<br><br>2.1.3 პროგრამაზე პასუხისმგებლებს სეეთავაზათ სადოქტორო სკოლის დაარსება, სადაც დოქტორანტები არ მუშაობენ მხოლოდ თავიანთ ხელმძღვანელებთან, არამედ ახალგაზრდა |

| |
|---|
| მკვლევართა საექსპერტო ჯგუფებში, რომლებშიც ეხმარებიან ერთმანეთს და ამგვარად, სწავლობენ თანამედროვე აკადემიურ თანამშრომლობას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ თვითშეფასებაზე მეტად სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ არსებობს საერთო ვალდებულება არსებული რესურსებით პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე. რექტორის განცხადებით წმ. ანდრიას ქართული უნივერსიტეტის დაარსებისას საერთოდ არც ერთი პროგრამა არ იყო მზად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 2008/2009 წლებში გადმოსულ სტუდენტთა ინდივიდუალური ხელმძღვანელობის არასტრუქტურირებული პროცესიდან, მან განიცადა სერიოზული ადაპტირება, რომელთაგან უმთავრესია სასწავლო კომპონენტის შემცირება კვლევითი კომპონენტის სასარგებლოდ. უნივერსიტეტი, ასევე, მზად არის განაგრძოს ამ მიმართულებით სვლა, რადგან ეს არის ცენტრალური ჰუმანიტარულ მეცნიერებებზე მის აქცენტში. |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საჭირო სტანდარტებს და უზრუნველყოფს ეფექტურ დოქტორანტურას სწავლების კომპონენტის გამუდმებითი შემცირებით თავიდან ბოლოსაკენ. გარდა ამისა, სწავლების კომპონენტი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული მთლიანი პროგრამის ECTS-ის 25%-მდე, რათა კვლევისათვის მეტი დროის დათმობის საშუალება მიეცა დოქტორანტებისათვის, ყველა შეფასებით, სემესტრში სამი პრეზენტაციისა და დასკვნითი სადოქტორო კოლოკვიუმის |

საფუძველზე. კურსები სწავლების მეთოდოლოგიებზე, ისტორიის მეცნიერებაში კვლევის მეთოდებზე, საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლაზე და საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ისტორიაზე რელევანტურია და აუცილებელია პროგრამის საერთო მიზნების მისაღწევად. მხოლოდ კურსში "კვლევის მეთოდები განათლებაში", ჩვენ ვერ ვხედავთ საჭიროებას პროგრამისთვის "საქართველოს ისტორია". მეორეს მხრივ, სასწავლო პროგრამა არ ტოვებს ადგილს ისტორიული კვლევის საერთაშორისო გამოცდილებისათვის (მხოლოდ კურსი "ისტორიის კვლევის მეთოდები" ფარავს მას ნაწილობრივ).

- კვლევითი კომპონენტი (პროგრამის 75%) ნაკლებად სტრუქტურირებულია. იგი ძირითადად ეყრდნობა კონსულტაციებს ხელმძღვანელებთან, ორ სადოქტორო სემინარს და პრეზენტაციებს, სწავლების კომპონენტის მსგავსად შეფასებისათვის. არ არსებობს თანამშრომლობის ფორმები დოქტორანტებს შორის (ჯგუფური მუშაობა, მცირე კონფერენციების ან ვორქშოპების ორგანიზება, საექსპერტო მიმოხილვები, კონტრაქტები და ურთიერთობა უცხოელ მეცნიერებთან, რომლებიც მუშაობენ ანალოგიურ თემებზე საზღვარგარეთ). როგორც სადოქტორო პროგრამა, არსებობს აუცილებლობა კვლევის კომპონენტის სტრუქტურაზე ასახული იყოს, რომ დოქტორანტებს მოეთხოვებათ დროულად შეასრულონ თავიანთი დავალებები (მაშინაც კი, თუ საქართველოში ბევრი მათგანი მუშაობს სრულ განაკვეთზე და ატარებს კვლევას სამუშაოს შემდეგ, რაც წარმოადგენს სერიოზულ სტრუქტურულ პრობლემას და ზიანს აყენებს მთლიანი კვლევის ხარისხს). თანამშრომლობით სტრუქტურებს შეუძლიათ დაეხმარონ დოქტორანტებს წერითი ბლოკადების და სხვა პრობლემების გადალახვაში, თუ ისინი არაა უშუალოდ დაკავშირებული ხელმძღვანელთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამირების დოკუმენტი; საუბრები პედაგოგებთან, ყოფილ და ამჟამინდელ დოქტორანტებთან.

**რეკომენდაციები:**

2.2.1 ჩანაცვლებულ იქნეს კურსი "კვლევის მეთოდები განათლებაში" რაიმე არჩევითი კურსით(ებით) საერთაშორისო ისტორიოგრაფიაზე, რომლებიც არაა უშუალოდ დაკავშირებული საქართველოსთან, მაგრამ უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების, მიდგომებისა კვლევის მეთოდების შესწავლას.

2.2.2. შეფასების კრიტერიუმები უნდა იქნეს დივერსიფიცირებული და უფრო მეტად ფოკუსირებული კონკრეტულ უნარებზე, არა მხოლოდ პრეზენტაციებზე, არამედ სწავლების ნიმუშებზე, აკადემიური წიგნების მიმოხილვაზე, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებაზე და ა.შ.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ორგანიზატორებს, პედაგოგებს, ყოფილ და ამჟამინდელ დოქტორანტებს შეუძლიათ ერთობლივად ასახონ უფრო თანამშრომლობითი მიდგომის გამოყენება, საკუთარი კვლევის იზოლირების გადალახვით სხვა დოქტორანტებისათვის, ისევე, როგორც საერთაშორისო მკვლევარებისათვის გაზიარებით, რომლებიც შეიძლება დაინტერესდნენ ქართული სპეციფიკით. უნივერსიტეტს მიეცა რჩევა, რომ დაფიქრდეს თუ როგორ შეუძლია შექმნას გარემო ორმაგი ტვირთის - მუშაობის

| |
|---|
| აუცილებლობისა და კვლევისათვის დროის - დასაძლევად. დროის მართვა აქ სერიოზული საკითხია კვლევის მაქსიმალური ხარისხის უზრუნველოფისათვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგად ჩვენ შევიტყვეთ უაღრესად ინდივიდუაილიზებულ დახმარებაზე, რომლის მობილიზებაც შესაძლოა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში (მაგ. სპეციალური ენის კურსები ძველ ქართულსა ან სპარსულში). |
| **შეფასება**<br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სადოქტორო პროგრამა შედგება ხუთი სავალდებულო კომპონენტისაგან (48 ECTS), რომელთაგან ორი წარმოადგენს კურსებს თანამედროვე კვლევის მეთოდოლოგიაში ისტორიულ მეცნიერებებში და ერთი -თანამედროვე სწავლების მეთოდებზე. ეს უკანასკნელი ზოგადი შესავალია და არაა ფოკუსირებული ისტორიის დიდაქტიკაზე (არც სკოლის და არც უსდ-ს). დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ ერთი არჩევითი კურსი (6 ECTS) სამიდან (საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ისტორიის თანამედროვე საკითხები, ქართული წყაროების კვლევის თანამედროვე საკითხები და ისტორიოგრაფია, და განათლების კვლევის მეთოდები). არ არის არც ერთი კონკრეტული არჩევთი კურსი, რომელიც შესთავაზებდა დოქტორანტებს საზღვარგარეთ არსებული ისტორიული კვლევის თანამედროვე საკითხებს ან საერთაშორისო ისტორიის დებატებში განვითარებულ მოვლენებს.<br>ყველა სილაბუსი ასახავს სწავლის მიზანს თითოეული კურსისათვის. თუმცა, სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიის შეფასების სისტემას, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს (7-9 ქულა სილაბუსებში) ყველას აქვს ერთი და იგივე ტექსტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა გასაგებია |

სტანდარტიზაციის თვალსაზრისით, იგი არ ასახავს მრავალფეროვან მიდგომებს უნარებისა და ცოდნის განვითარებისადმი უმაღლესი განათლების მესამე ციკლის კურსებში. არც ერთი კურსი არ განსაზღვრავს დაშვების კრიტერიუმებს (4), რომელთაც შეუძლიათ მიგვიყვანონ შესაბამის შესავალ კურსებთან საბაკალავრო ან სამაგისტრო დონეზე.

ზოგიერთი სილაბუსი არ სარგებლობს უცხოური ლიტერატურით და ონ-ლაინ პორტალებით, რომლებიც კვლევის ზოგიერთ სფეროში იძლევიან უახლესი მონაცემებთან სწრაფ ხელმისაწვდომობას. მხოლოდ ქართულ ენაზე არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობა არაა საკმარისი საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში არსებული მდგომარეობის წარმოსადგენად.

პროგრამაში ჩართული არიან საქართველოში კარგად ცნობილი მეცნიერები, რომლებიც თავისი კვლევებით ფარავენ შესაბამისად ანტიკურ, შუა საუკუნეების, ახალ და უახლეს ისტორიას დაამგვარად, ავსებენ ერთმანეთს. მოწვეული ლექტორების ამჟამად არ აწარმოებენ საკუთარ კვლევებს, მაგრამ აქტიურნი არიან საჯარო განათლების ან განათლების პოლიტიკის სფეროებში. პროგრამაში არ არიან ჩართულნი ახალგაზრდა მკვლევარები, რომელთაც შესაძლოა წარმოედგინათ ისტორიის კვლევის ახალი სფეროები, ისევე, როგორც გამოეყენიათ ციფრული ტექნოლოგიები. კურსი "წყაროების შესწავლის შესახებ და ისტორიული კვლევა საქართველოში" არ მოიხსენიებს ახლად შექმნილ სფეროებს, როგორებიცაა ზეპირი ისტორია, ვიზუალური ან სერიული წყაროების გამოკვლევა ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით და ძალიან შეზღუდულად იყენებს უახლეს საერთაშორისო, ისევე, როგორც ეროვნულ კვლევებს, განსაკუთრებით უახლესი ისტორიის სფეროში. კურსს "საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ისტორია" აკლია ლიტერატურა, რომელიც განიხილავს სხვადასხვა მიდგომებს შიდა რელიგიურს და გარე სეკულარულს, აკადემიურ მიდგომას, როგორც ეს აღნიშნა პროგრამის ერთ-ერთმა ლიდერმა ინტერვიუს დროს. რა სახის ეპისტემოლოგიური, თეორიული და მეთოდური ცოდნაა საჭირო საქართველოს ეკლესიის, სახელმწიფოსა თუ საზოგადოების კრიტიკული კვლევისათვის? ძირითადი კურსი "ისტორიის კვლევის მეთოდებზე" უზრუნველყოფს ფართო დიაპაზონის მნიშვნელოვან საკითხებს, მაგრამ მეტისმეტად ეყრდნობა მოძველებულ, არა კლასიკურ ტექსტებს, რომლებშიც მეტა თანამედროვე კვლევითი ლიტერატურაა ხელმისაწვდომი (ძირითადი საერთაშორისო კვლევები და სახელმძღვანელოები ნათარგმნია რუსულად). ლურსები ძირითადად ფოკუსირებულია პოლიტიკურ ისტორიაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სილაბუსები, ლექტორების CV-ები, პროგრამირების დოკუმენტი, ვებ-საიტი

**რეკომენდაციები:**

2.3.1. კურსი "კვლევის მეთოდები განათლებაში" უნდა იქნეს ჩანაცვლებული უფრო მეტად საერთაშორისო ისტორიის კვლევაზე ფოკუსირებული კურსით (რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საქართველოს), ან ისტორიული კვლევის ეპისტომოლოგიური საკითხებით (ისტორიის თეორია). ეს, ასევე, დაეხმარება კურსის "ისტორიის კვლევის მეთოდების" მთლიანად ფოკუსირებას მეთოდებზე და მათ გამოყენებაზე კვლევით პრაქტიკაში.

2.3.2. ვინაიდან ესაა უმაღლესი განათლების მესამე დონის პროგრამა, გარკვეული წინაპირობები უნდა იყოს დასახელებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კურსის დონის

| | |
|---|---|
| **2.3.3.** | მაღალი ხარისხი. ეს წინაპირობები დემონსტრირებულია ფორმალური (უნივერსიტეტის ხარისხი ისტორიაში) და არაფორმალური გზით (ინტერვიუები სტუდენტებთან) სილაბუსებში მოყვანილი ლიტერატურა საჭიროებს საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურით განახლებას. |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

2.3.4 უნივერსიტეტის მენეჯმენთმა უნდა განიხილოს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების (ERASMUS+, DAAD, რუსთაველის ფონდი) მეტად გამოყენების საკითხი პროგრამაში უცხოელ ლექტორთა ან უცხოურ სასწავლო კურსებიდან ქართველ კურსდამთავრებულთა მოსაწვევად. აქ, ყოფილი კურსდამთავრებულები, აქტიური კვლევითი გამოცდილებით, შესაძლოა მოწვეულ იქნენ პედაგოგებად იმ პროგრამაზე, რომელიც მათ თავად დაამთავრეს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ვერ მოხდა დაკვირვება, რადგან არ იყო კლასებში დასწრების შესაძლებლობა.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- როგორც დავადგინეთ ინტერვიუებიდან ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან, სილაბუსებში გამოყენებულია სტანდარტიზებული ელემენტები, რათა სადოქტორო პროგრამის განხორციელების საწყისი ეტაპებისათვის აუცილებელი შედარებითობის მინიმალური დონე ყოფილიყო უზრუნველყოფილი. თუმცა, პროგრამის განვითარებასთან ერთად, წმ. ანდრიას უნივერსიტეტმა ამჟამად უნდა გადახედოს მათ განვითარების შემდეგი ეტაპისათვის.

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- 2.3-ში განხილული ფართო სპექტრის უნარები არაა შეფასების კრიტერიუმების ადეკვატური, რომელიც ხაზს უსვამს მხოლოდ პრეზენტაციებს, მაგრამ გამოტოვებული აქვს ყველა

| |
|---|
| "ცოდნის პატარა ინსტრუმენტი", როგორებიცაა მითითებები, წიგნების მიმოხილვა, საჯარო ლექციების მომზადება და მოკლე "ვებ-დოკუმენტები" არაკადემიური აუდიტორიისათვის, ისტორიის კვლევის ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფა (მაგ. Antoon De Baets “Responsible History” New York & Oxford: Berghahn, 2009). როგორც დავაზუსტედ ადგილზე ვიზიტისას, ზოგიერთი კურსდამთავრებული მუშაობს და იყენებს გარკვეულ მითითებულ უნარებს. მიუხედავად ამისა, ისტორიული მეთოდების სილაბუსის გარდა, არც ერთ სხვა კურსში, ისევე, როგორც პრაქტიკულ კვლევაში, არაა მითითებული თუ როგორ გამოიყენება გარკვეული უნარები. აუცილებელი პრეზენტაციები ეხება მხოლოდ საჯარო შესრულებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სილაბუსები, ინტერვიუები ხელმძღვანელებთან, პედაგოგებთან, კურსდამთავრებულებთან და დოქტორანტებთან. |
